პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2025 წლის --- დეკემბერი

ქ. წყალტუბო

ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე (საკ. კოდი # 29.08.34.187) განთავსებული კაფე - ბარის 08 (1) პირობით 10 წლის ვადით , იჯარის უფლებით, აუქციონის წესით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 15 დეკემბრის №48-4825349101 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას **ქალაქ წყალტუბოში, ცენრალური პარკის ტერიტორიაზე (საკ. კოდი # 29.08.34.187)განთავსებული კაფე -ბარის 08 (1) პირობით 10 წლის ვადით , იჯარის უფლებით, აუქციონის წესით გადაცემის შესახებ.**

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის **ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე (საკ. კოდი # 29.08.34.187)განთავსებული კაფე -ბარის 08 (1) პირობით 10 წლის ვადით , იჯარის უფლებით, აუქციონის წესით გადაცემის შესახებ.**

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მესამე რანგის პირველი კატეგორიის

უფროსი სპეციალისტის მ/შ: მაია უგლავა

შეთანხმებულია:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი: მაია ბერაძე

აპარატის უფროსი: გელა თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე: რევაზ დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4825349101**
თარიღი: **15/12/2025**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას სურვილი აქვს ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე (საკ.კოდი N29.08.34.187) განთავსებული კაფე-ბარი 08(1) გასცეს იჯარის უფლებით შემდეგი პირობით: არაუმეტეს 12 თვის ვადაში მოიჯარე ვალდებულია განახორციელოს უძრავი ქონების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669-ე დადგენილების შესაბამისად, გთხოვთ მოგვცეთ თანხმობა, იჯარის უფლებით, აუქციონის წესით, გაიცეს ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე (საკ.კოდი N29.08.34.187) განთავსებული კაფე-ბარი 08(1) პირობით (არაუმეტეს 12 თვის ვადაში მოიჯარე ვალდებულია განახორციელოს უძრავი ქონების რეაბილიტაცია/რეკონსტუქცია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და გამოიყენოს დანიშნულებისამებრ) 10 წლის ვადით, საჭიროების შემთხვევაში მეიჯარის მიერ მოთხოვნისთანავე მოხდეს ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი